ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-01183473646**
თარიღი: **13/12/2018**
პინი: **3447**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა განიხილა თქვენი 2018 წლის 5 დეკემბრის #60-01183393472 წერილი (AR1633705), რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, გამზირი მარშალ გელოვანი, (ნაკვეთი 04/009)/ გამზირი მარშალ გელოვანი, მარჯვენა მხარეს (ნაკვეთი N25/38) გამზირი მარშალ გელოვანი, ნაკვეთი 25/065 (ს.კ.: 01.10.11.004.017) შპს „ბიოსფერო+“-ის სამშენებლოდ გამოსაყენებელ ტერიტორიაზე (IV კლასი)(სატრანსპორტო ზონა-2) მიწის ნაკვეთის გამწვანების პროექტის შეთანხმებასთან დაკავშირებით სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტის თანახმად, ტერიტორიაზე გასამწვანებლად შემოთავაზებული 2 ძირი კვიპაროსი უნდა ჩანაცვლდეს დიდი ვარჯის მქონე წიწვოვანი ხეებით. ასევე ვინაიდან, საინფორმაციო დაფის ესკიზზე მწვანე ნარგავების მოვლაზე პასუხისმგებელ პირად მითითებულია დურმიშხან სალუქვაძე, განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი წესით დამოწმებული დურმიშხან სალუქვაძის წერილობითი თანხმობა ან მასთან გაფორმებული ხელშეკრულება მწვანე ნარგავების მოვლის შესახებ.

ასევე, ხე-მცენარეების მოვლა-პატრონობის ხანგრძლივობა განისაზღვრება 3 წლით, შესაბამისად განმცხადებელმა უნდა დააკორექტიროს ბანერზე მითითებული პერიოდი.

ზემოაღნიშნული ხარვეზის გამოსწორებამდე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააფიქსიროს პოზიცია გამწვანების პროექტთან დაკავშირებით.

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი